ხატის ტყეების კვლევა (არხოტის ხეობის მაგალითზე)

შალვა აბრამიშვილი

ელ-ფოსტა: shakoabrami@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ქ.თბილისი ილ. ჭავჭავაძის გამზირი #1

ანოტაცია

ძირძველი რელიგიური შეხედულებები ყველაზე ახლო კავშირია ადამიანისეულ, კულტურულ სისტემებსა და ბუნებრივ სისტემებს შორის. ჯულიან სტუარდიც, კულტურული ეკოლოგიის თეორიის ფუძემდებელი, პროტო რელიგიებს (არა აბრაამისეული რელიგიები) კულტურული ბირთვის ნაწილად მოიაზრებს.

რაც შეეხება ნადირობის, მიწათსარგებლობის, პასტორალიზმის თუ ტყეთსარგებლობის საკრალურ-რიტუარულ წესებს, ეს ის წერტილია სადაც ყველაზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული კულტურული სისტემა და ბუნება. ტყეთსარგებლობის მარეგულირებელი რელიგიური შეხედულებები გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ კუთხეში, თუმცა მათი ავთენტური სახით შენარჩუნება მცირე არეალებში თუ მოხდა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე გავრცელებული „ხატის ტყის“ ფენომენის შესაწავლა არხოტის ხეობის მაგალითზე. ჩვენ ვთვლით, რომ „ხატის ტყეები“ წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების შუასაუკუნეების, ძირძველ სახეს და მათი კვლევა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია კულტურული ლანდშაფტის კვლევის მეთოდოლოგიისა.